

## შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

შპს ინტერბიზნესის აკადემიაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- განავითარე" ციკლს;

„დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა. ის გულისხმობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ შემდეგნაირად უნდა იმუშაოს: პირველ ეტაპზე უნდა დაიგეგმოს საკუთარი სამუშაო-განისაზღვროს საქმიანობის რომელი ასპექტები, რომელი სტრუქტურები და პროგრამები რა თანმიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული, მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს („განახორციელე“) დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და და გრაფიკის მიხედვით მესამე ეტაპზე უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს, და, შესაბამისად, მოიძებნოს მიზეზები („შეამოწმე“); საბოლოო ეტაპზე შედეგები უნდა შეჯამდეს და ამ შედეგებს ახალი ციკლის დაწყებისაკენ მივყავართ („განავითარე“), განისაზღვროს ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულ იქნეს სათანადო რეკომენდაციები; ნაკლოვანების არსებობის შემთხვევაში დაისახოს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები

**შეფასების მოსაზრადებელი ეტაპი.** ეს პროცესი თავის მხრივ რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის მიხედვით;
- შემფასებლების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მომზადება (ტრენინგი);
- შეფასების პროცედურის შემუშავება ;
- შეფასების შედეგების ფორმის შემუშავება;
- შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პრეზენტაციის წესის შემუშავება.

შპს ინტერბიზნესის აკადემიაში (შემდგომში: აკადემია) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში: პროგრამა) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება მოიცავს:

საგანმანათლებლო პროგრამას

სასწავლო პროცესის ორგანიზებას

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფას

სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებს

პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური/სასწავლო პერსონალი, სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევას

### **საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა**

საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) და მისი სტრუქტურული ელემენტების - მოდულებისა თუ ცალკეული სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შეფასებისათვის არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

1. პროფესიული პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია
2. პროფესიული პროგრამების შემოწმების ფორმა
3. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა
4. შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა
5. სახარჯი მასალების მოთხოვნის ფორმა
6. სილაბუსის ფორმა
7. სილაბუსის შემოწმების ფორმა
8. საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსის შემუშავების წესი.

სილაბუსში აუცილებლად უნდა აღინიშნოს

- პროგრამის/კურსის მოცულობა
- პროგრამის მიზანი
- პროგრამის შედეგი (ე.წ. სწავლის შედეგები)
- სწავლების ფორმატი, მეთოდები
- სასწავლო მასალა
- შეფასების წესი და მეთოდები

პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტებს შორის თანხვედნას, ანუ რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენება:

აკადემიაში მოქმედებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე მონიტორინგს);

აკადემია ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ( გარე შეფასება);

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა;

კვლევის შედეგების პროგრამაში ასახვის ხარისხის შემოწმება და მისი შესაბამისობა საკანონმდებლო და აკადემიის მოთხოვნებთან;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული სასწავლო პერსონალის გამოკითხვის შედეგები; დამსაქმებელთა შეფასება;

პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;

პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;

პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;

პროგრამაზე რეგისტრირებული პროფესიული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;

პრაქტიკის გავლის შემდგომ იმავე ობიექტზე პროფესიული სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი;

პროფესიული სტუდენტების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;

პროფესიული სტუდენტების პროგრამის არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი;

აკადემიაში პროგრამის შეფასებას ახდენს ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან თანამშრომლობით; პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

## **სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა**

ხარისხის სამსახურის ძირითადი ამოცანაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - სასწავლო პერსონალის,

ადმინისტრაციისა და პროფესიული სტუდენტების, რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების - გამოკითხვა პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი
2. შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა
3. სასწავლო პერსონალის პედაგოგიური თვისებები
4. პროფესიული სტუდენტების მომზადების დონე

ამგვარი ანალიზი რეგულარულად უნდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის სასწავლო პროგრამების, სასწავლო პერსონალის მუშაობისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შესახებ.

### **პერსონალის შეფასების სისტემა**

სასწავლო პერსონალის კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი სწავლებისა და პროფესიული გამოცდილების კომპეტენციით.

#### სწავლების კომპეტენცია:

სასწავლო პერსონალის უპირველესი დანიშნულება პროფესიული სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემაა. სწავლების ხარისხის დადგენისათვის რეკომენდირებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

ა) პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი - იგულისხმება მოდულის ადაპტირება, სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;

ბ) უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - იგულისხმება პროფესიული სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით/მოდულით მათი დაინტერესება, პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;

გ) დარგობრივი კომპეტენცია - საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა, დარგობრივი სფეროს ადგილი სხვა დისციპლინებთან მიმართებაში და სხვა;

დ) კურსის მართვის უნარი - იგულისხმება სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, როგორცაა მაგ. კონსულტაციები.

სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:

- თვითშეფასება
- შეფასება კოლეგების მიერ
- შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ
- პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი
- დასწრება მეცადინეობაზე

ხარისხის მართვის აუცილებელი ელემენტია აკადემიის მუშაობაში მონაწილე ყველა მხარის აზრის და დამოკიდებულებების კვლევა.

კვლევის/გამოკითხვის ობიექტებად მოიაზრება:

პროფესიული სტუდენტები  
სასწავლო პერსონალი  
დამსაქმებლები  
კურსდამთავრებულები

ხარისხის მართვისათვის რეკომენდირებულია კვლევების წარმოება შემდეგი საკითხების შესწავლისთვის:

სასწავლო პროცესის მახასიათებლები - ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიკითხოს როგორც სტუდენტი, ასევე მასწავლებლები.

პროგრამების რელევანტურობა შრომის ბაზრისათვის - კითხვარი დამსაქმებლებისათვის; კვლევების დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სათანადო ხარჯები - კითხვარების შემუშავება, რესპოდენტების გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები, ჩადრმავებული ინტერვიუ და სხვა მეთოდები.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის

### გეგმიური ანგარიში

ქ.თბილისი

2020 წ.25 თებერვალი

მიმდინარე სასწავლო წელს ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობა წარიმართა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და ხარისხის მართვის სამსახურის 2019-2020 ს.წ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

მიმდინარე პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ახალი სასწავლო წლისათვის გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო მასალა, კომპიუტერული ტექნიკა, დამუშავდა გამოკითხვის კითხვარები, მომზადდა 2018-2019 ს.წ. აკადემიის პერსონალს გაეცნო გასული შემაჯამებელი წლიური ანგარიში, გადაიხედა აკადემიის მისია, შემუშავდა სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები, აკადემიის ადმინისტრაციას ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და მათ მიერ მოსაპოვებელი სტატისტიკური მონაცემები, აკადემიის მარეგულირებელ დოკუმენტებში ახალი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობისათვის განხორციელდა ცვლილებები და დამატებები, ჩატარდა ტრენინგები ახლად შემოსულ სასწავლო პერსონალთან მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის, შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავების და შეფასების მტკიცებულებების მოგროვების შესახებ. ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების გამოკითხვა, ხდება სალექციო საათებზე დასწრება, განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, დაიდო ვერიფიკაციის ანალიზი და ანალიზის საფუძველზე გაიცა რეკომენდაციები, ასევე გადაიხედა შეფასების ინსტრუმენტის და შეფასების უწყისის ფორმები და დამტკიცდა ცვლილებებით, სასწავლო გეგმის შესაბამისად სისტემტიურად და დროულად ხორციელდება სასწავლო ცხრილების შემუშავება. მომზადდა თვითშეფასების ანგარიში მხარდაჭერის პილოტირების პროგრამისთვის.

დანართი : ხარისხის მართვის სამსახურის 2019-2020 ს.წ. სამოქმედო გეგმა შესრულების აღნიშვნით და მტკიცებულებით.

**ხარისხის მართვის სამსახურის 2019-2020 სასწ. წლის სამოქმედო გეგმა  
(სექტემბრიდან-სექტემბრამდე)**

**შუალედური ანგარიში 2020წ. 25 თებერვალი**

აქტივობა	შესრულების თარიღი	შესრულების აღნიშვნა	მტკიცებულება
2018-19 ს.წ. ჩატარებული კვლევის ანგარიშის განხილვა	სექტემბერი	შესრულებულია	ოქმი N10.1.10.19წ. დასწრების ფურცელი
პროფესიული ტესტირებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხის პროცედურების ასახვა მარეგულირებელ დოკუმენტებში	სექტემბერი	შესრულებულია	ბრძ.N01-30;26.09.19წ. ცვლ.დებ.კრებულში
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში სახელმძღვანელოების (მათ შორის ელ. ვერსიების) და სასწავლო მასალის, კომპიუტერული ტექნიკის, კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობის შემოწმება არსებობისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან მათი შესაბამისობის დადგენა	სექტემბერი	შესრულებულია	
ადმინისტრაციის პერსონალისათვის ავტორიზაციის ახალი სტანდარტების და მათ მიერ მოსაპოვებელი სტატისტიკური მონაცემების გაცნობა	ოქტომბერი	შესრულებულია	ოქმი N4; 17.10.2019წ.; დასწრების ფურცელი
დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების ახალ ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	სექტემბერი- ნოემბერი	შესრულებულია	ბრძ. N01-30; 26.09.19წ. ბრძ.N01-46; 16.12.19წ ცვლ.დებ.კრებულში
გაუმჯობესების გეგმის შედგენა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შედგენა	ოქტომბერი- ნოემბერი	შესრულებულია	გაუმჯობესების გეგმა; ბრძ. N01-29;25.09.19წ ბრძ.N01-36; 22.10.19
დაწესებულების სვოტ ანალიზი და მისიის გადახედვა;	სექტემბერი	შესრულებულია	მისის, სვოტ-ანალიზი; ოქმიN10; 1.10.19წ
მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების ტრენინგი თემაზე: პროგრამის სპეციფიკა; კალენდარული გეგმის შედგენა; შეფასების ინსტრუმენტების შედგენა; მტკიცებულებების შეგროვება.	სექტემბერი- მაისი (საჭიროებისა მებრ)	მიმდინარეობს პერიოდულად	დასწრების ფურცლები; დღის წესრიგი.
სასწავლო ცხრილის შემუშავება;	სექტემბერი	შესრულებულია	ცხრილები
შიდა მონიტორინგის პროცესის განხორციელება და კონტროლი	მთელი სასწავლო პერიოდი	მიმდინარეობს პერიოდულად	ლექციებზე დასწრების ფურცლები; ვერიფიკაციის შედეგების ანგარიში; შეფასების

			ინსტრუმენტის შემოწმების ფორმები.
სასწავლო პროცესის, სტუდენტთა კმაყოფილების, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ანონიმური გამოკითხვების ჩატარება	ყოველი მოდულის დასრულები ს შემდგომ და დეკემბერი-იანვარი	მიმდინარეობს პერიოდულად	სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვები
ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენა	მაისი	მზადების პროცესი მიმდინარეობს პერიოდულად	დაწესებულება ჩართული იყო თვითშეფასების ანგარიშის პილოტირების მხარდაჭერის პროგრამაში
სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების და ინსტრუქციების შემუშავება	წლის განმავლობაში, საჭიროებისამებრ	მიმდინარეობს	მოხსენებითი ბარათები; ცვლილებები შეფასების ინსტრუმენტში და უწყისში. რეკომენდაციები ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე; 2020 წლის 18 იანვრის შეხვედრის დასწრების ფურცელი და დღის წესრიგი
შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა არსებობის შემთხვევაში მათ საჭიროებებზე მორგება და საჭირო გარემოს მოწყობა-შეთავაზება.	საჭიროებისამებრ	არ დამდგარა საჭიროება	
2019-2020 სასწავლო წლის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიშის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება 2020-2021 სასწავლო წლისთვის.	აგვისტო		
ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება	სექტემბერი-აგვისტო		
ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული განათლების სივრცეში არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა საჭიროებისამებრ;	საჭიროებისამებრ		
მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა	სექტემბერი		
სხვა ღონისძიებები	საჭიროებისამებრ		